


შოთა რუსთაველის სახარველთ
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

2017



www.rustaveli.org.ge

სარისხი • განვითარება • ინოვაცია • ინტერნაციონალიზაცია

პროგრამები და
კონკურსები

მეცნიერების
ინტერნაციონალიზაცია
და საერთაშორისო
ურთიერთობები

ფონდის აქტივობები

საინფორმაციო ბიულეტენი

IV კვარტალი

„საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება



2017 წლის მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააჯილდოვა წლის „საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ კონკურსში გამარჯვებული მეცნიერები. დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 10 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. [იხ. სრულად >>>](#)

ELSEVIER - ის სემინარი - Mendeley Workshop



საქართველოს მეცნიერებისა და ინოვაციის ფესტივალის ფარგლებში, 2017 წლის 2 ოქტომბერს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, ჩატარდა ELSEVIER - ის სემინარი (Mendeley Workshop) საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური კომპანიის, ELSEVIER-ის შესახებ. [იხ. სრულად >>>](#)



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

**კონკურსებისა და პროგრამების
გამოცხადება და
შედეგები**

**გამოვლინდნენ ხუთი კონკურსის
გამარჯვებულები**

- [ფონდისა და გერმანიის იულისხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის საგრანტო კონკურსი](#)
- [მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა 2017 წლის კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“](#)
- [ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსი](#)
- [2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი](#)
- [ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსი](#)

**საქართველოს
უნივერსიტეტების
კონსორციუმის სტუდენტები
იულისში**



2017 წლის 9-17 სექტემბერს „საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის“ კონცეფციის ფარგლებში იულისხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში ჩატარდა ე.წ. QUALI-Start-Up ლექციების კურსი. ეს პროექტი არის -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროექტის „შემოდგომის ლექციები თბილისში“ (2013, 2015) გაგრძელება. პროექტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იულისხის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ. [იხ. სრულად >>>](#)

**გამოყენებითი კვლევების
საგრანტო კონკურსის
განახლებული კონცეფციის
განხილვა - შეხვედრა
მეცნიერებთან**




3 ოქტომბერს, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა შეხვედრა ქართველ მეცნიერებთან. ფონდის წარმომადგენლებმა მათ გააცნეს გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსის განახლებული კონცეფცია. მეცნიერებმა, თავის მხრივ, გამოთქვეს მოსაზრებები კონცეფციაში შესული ცვლილებებისა და გამოყენებითი კვლევების კონკურსის წესების შესახებ.

ELSEVIER - ის სემინარი - Author Workshop



საქართველოს მეცნიერებისა და ინოვაციის ფესტივალის ფარგლებში, 2017 წლის 2 ოქტომბერს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, ჩატარდა სემინარი (Author Workshop) საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური კომპანიის, ELSEVIER-ის შესახებ. [იხ. სრულად >>>](#)

**ქართველი ნომინანტის წარდგენა
ჯონ კლუგეს სახელობის პრიზზე**



აშშ-ის „კონგრესის ბიბლიოთეკის“ მიერ დაწესებული ჯონ კლუგეს სახელობის პრიზის მოსაპოვებლად 2017 წლის კონკურსზე, პირველად საქართველოდან, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა წარსადგენად დაასახელა დოქტორი დავით ლორთქიფანიძე, ქართველი პალეონტოლოგი და არქეოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, რუსთაველის ფონდის წარმადგენელი გრანტიორი [იხ. სრულად >>>](#)

გამოცხადდა

- [ფონდისა და თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს \(TUBITAK\) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი](#)



www.rustaveli.org.ge

ჰორიზონტი 2020 - ის საინფორმაციო დღე



ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის
ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-
ის დაფინანსებული პროექტის EaP
PLUS-ისა და შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის ორგანიზებით, 2017 წლის 21
ნოემბერს, სასტუმროში Courtyard by
Marriott გაიმართა ჰორიზონტი 2020 - ის
საინფორმაციო დღე. [იხ.სრულად >>>](#)

გლობალური კვლევების საბჭოს (GRC) ევროპის რეგიონალური შეხვედრა



2017 წლის 22 - 23 ნოემბერს,
შვედეთში, ქ. სტოკჰოლმში
გაიმართა გლობალური
კვლევების საბჭოს
(Global Research Council)
ევროპული რეგიონალური
შეხვედრა, რომელსაც
უმასპინძლა შვედეთის
მდგრადი განვითარების
კვლევების საბჭომ.
GRC-ის რეგიონალურ

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ფონდის
გენერალურმა დირექტორმა მანანა
მიქაბერიძემ და გენერალური დირექტორის
მოადგილემ ნინო გაჩეჩილაძემ.
[იხ.სრულად >>>](#)

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წლიური შემაჯამებელი კონფერენცია



2017 წლის 11 დეკემბერს, შოთა
რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით
სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“
გაიმართა კონფერენცია - « შოთა
რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის 2017 წლის
საქმიანობის შედეგები და სამომავლო
პერსპექტივები».
[იხ.სრულად >>>](#)

ევროკომისიის პოლიტიკის მხარდაჭერი ინსტრუმენტი: Specific Support to Georgia



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ
ევროკომისიის მიმართვის საფუძველზე
და შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ორგანიზებით, 2017 წლის 4-7 დეკემბერს
ევროკომისიის სპეციალური მხარდაჭერი
ინსტრუმენტის, Policy Support Facility-ს
ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო
ექსპერტების პირველი ვიზიტი
საქართველოში. [იხ.სრულად >>>](#)

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში მმართველი საბჭოს 45-ე სხდომა

2017 წლის 6 დეკემბერს ქ. ფრანკფურტში
გაიმართა მეცნიერებისა და
ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში
მმართველი საბჭოს 45-ე სხდომა,
ხოლო 7 დეკემბერს კი მეცნიერებისა
და ტექნოლოგიების საერთაშორისო
ცენტრის მმართველი საბჭოს 65-ე სხდომა.
ორივე მმართველი საბჭოს სხდომაზე
საქართველო წარმოდგენილი გახლდათ
შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახით.

ფონდსა და „თიბისი ბანკს“ შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა

13 ნოემბერს ხელი მოეწერა
ფონდსა და „თიბისი ბანკს“ შორის
ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს,
რომლის თანახმად, „თიბისი ბანკი“
თანხმობას აცხადებს მხარი დაუჭიროს
შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018
წლის მოსწავლე გამომგონებელთა და
მკვლევართა „ლეონარდო და ვინჩის“
კონკურსს.
„თიბისი ბანკი“ კონკურსის ოფიციალური
პარტნიორია 2016 წლიდან.

ხელი მოეწერა LLC „Clarivate“-თან ხელშეკრულებას

2017 წლის 1 დეკემბერს შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო
ფონდმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას
LLC „Clarivate“-თან, რომლის
ფარგლებში ხელმოწერა ინსტიტუციებს
და ასევე, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნულ აკადემიას, სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას
და საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 8
დეკემბრიდან ექნებათ წვდომა „Web of
Science“-ის კოლექციაზე. [იხ.სრულად >>>](#)

სხვა აქტივობები:

გაიმართა SRNSFG-DAAD-ის შემაჯამებელი კონფერენცია



12 დეკემბერს, შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდისა და გერმანიის აკადემიური
გაცვლის სამსახურის (DAAD)
ორგანიზებით, გაიმართა შემაჯამებელი
კონფერენცია „Rustaveli-DAAD-ის
ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამა:
პროექტების პრეზენტაცია“.

ERC National Contact Point შეხვედრა



ქ. ბრუსელში 2017 წლის 29-30 ნოემბერს
გაიმართა ევროპული კვლევების საბჭოს
ეროვნული საკონტაქტო პირების
ქიშევდრა.
შეხვედრაში საქართველოს მხრიდან
მონაწილეობას იღებდა ფონდის
გენერალური დირექტორი მანანა
მიქაბერიძე, მოადგილე ნინო გაჩეჩილაძე
და საერთაშორისო ურთიერთობების
სამსახურის ხელმძღვანელი მარიამ
ქეხური.

გაიმართა გამოცხადებული კონკურსების ოთხი საკონსულტაციო შეხვედრა

